ცხოვრების ფერადი გამოცდილება

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

აშშ-ს საელჩო საქართველოში
THE U.S. EMBASSY IN GEORGIA

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ამ წიგნის ავტორები 10-დან 17 წლამდე მოზარდები არიან – ისინი, ვინც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის ყველაზე ცხელი დღეები საკუთარ თავზე, ბრძოლის ველად ქცეულ საკუთარ სახლებში გადაიტანა. მოზარდების უმრავლესობა დღეს მშობლიური კუთხისგან არც ისე შორს ცხოვრობს – წეროვანში, ქარელში, გორში, კოდაში, ხაშურში, ბოლნისში, სენაკში, ხობში, თუმცა, როგორც თავადვე ამბობენ: „არიან დევნილები საკუთარ სამშობლოში“.

„მედიის განვითარების ფონდმა“ ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით მათ საკუთარი სათქმელის წიგნად გამოცემა შესთავაზა. ომის წლისთავზე, 2009 წლის აგვისტოში გამოცხადებულ კონკურში სახელწოდებით „ცხოვრება ომის შემდეგ“, საკონკურსოდ 197 ესსე და 114 ნახატი შემოვიდა. „მედიის განვითარების ფონდი“ ასეთი აქტიურობისთვის მადლობას უხდის ყველა მოზარდს, რომელმაც კონკურსში მონაწილეობა მიიღო და განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრებს, რომლებმაც კონკურსის ორგანიზების საქმეში პარტნიორობა გაგვიწიეს. 311 ემოციური და გულწრფელი ნაშრომიდან კონკურსის ჟიურის დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ 20 გამოერჩია. წიგნში ამ ნაშრომებს და მათ ავტორებს გაიცნობთ. ყველა მათგანი თავისებურია, თუმცა ყველა რაღაცით მაინც ჰგავს ერთმანეთს – პირველ რიგში კი იმით, რომ თხრობა „ცხოვრებაზე ომის შემდეგ“ ომის წუთების გახსენებით იწყება. „მედიის განვითარების ფონდი“ შეეცადა ამ ნაშრომების რედაქტირებით მათში უხეშად არ ჩარეულიყო – მოზარდების სტილი დაცულია. ჩვენის მხრიდან წიგნში მხოლოდ ნათელი ფერები შევიტანეთ – ფერები, რომლებიც, იმედი გვაქვს, ამ მოზარდების ცხოვრებაში თანდათან სულ უფრო და უფრო მკვეთრად გამოჩნდება.

მედიის განვითარების ფონდი

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ცრემლით დანთებულ თვალებში
გამეფებულა სევდა,
ომში წასული ვაჟკაცი
ვერ დაუბრუნდა კერას.
თავი შესწირეს სამშობლოს,
დაჭრილი ეძახდა დედას,
სისხლის გუბეში მბორგავის
ძახილი მესმის დღესაც.
ომის ქარცეცხლში გახვეულთ
სულ დაგვავიწყდა ყველა.
რომ გულს ვატკენდით ახლობლებს
ჩვენი სიკვდილით მჯერა!

ეს ლექსი ეკუთვნის 8 აგვისტოს
ცხინვალთან გმირულად დაცემულ მიშიკო დვალიშვილს

თამარ ბუთხუზი

თამარი 14 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე ახალგორის რაიონის სოფელ ახმაჯში ცხოვრობდა, დღეს – წეროვანში. სწავლობს წეროვანის მე-3 საჯარო სკოლის IX[4] კლასში. თამარის უფროსი ძმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერია. თავადაც სურს გამოვიდეს ჯარისკაცი. ამბობს, რომ შეეცდება ეს სურვილი რეალობად აქციოს. იმასაც ამბობს, რომ არ უყვარს ოცნება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიძინა ახალი მეგობრები, კლასელები. დაკარგა ლამაზი და „მტრისთვის ყოველთვის მიუწვდომელი“ ხეობა, ბავშვობა და წინაპრების საფლავები.

ერთი წელი ტკივილისა, ობლობისა, ლტოლვილობისა. დაობლებული სახეები, კვამლში გახვეული სამაჩაბლო, და ახლოს მდებარე სოფლები, გაქცეული მშვიდობიანი მოსახლეობა და უკან დადევნებული ბომბები... სევდიან განწყობას და ტკივილის გახსენებას ბუნებაც აჰყვა... მოქუფრული ციდან წამოსული წვიმის წვეთებით მოინამა გმირების სისხლით გაჟღენთილი ქართული მიწა... შარშანდელი აგვისტოს მძიმე და შფოთიანმა დღეებმა ყველა ქართველის გულში ღრმა და მოუშუშებელი იარა დატოვა.

სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მშვიდობას ხშირად არღვევდნენ, იტაცებდნენ, კლავდნენ, გზას კეტავდნენ... მშვიდობა თითოეული იქ მაცხოვრებლის სანუკვარ ოცნებად იყო ქცეული. თუმცა, არასდროს არც ერთ იქაურს არ უფიქრია დაეტოვებინა სახლ-კარი... ახლა იქ ღამე ტურა-მგლები ყმუიან. დღე კი ყვავები თუ დაფრინავენ და უბედურებას აღარავის აუწყებენ. თვითონ გოდებენ ადამიანების მაგივრად.

ჩემი სოფელი ქსნის ხეობაში მდებარეობს. აქ არის ჩემი დედულეთიც და მამულეთიც. მათ მხოლოდ რამდენიმე

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

კილომეტრი აშორებთ. მე ახალგორში დავიბადე. ჩემს სოფელს კი ახმაჯი ჰქვია. ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი. მას გარშემო მთები აკრავს, ამიტომაც იქაურობა ყველაზე ლამაზი ზაფხულსა და ზამთარშია. თუმცა ზაფხულის სოფელი უფრო მეტად მიყვარს, როცა ყველაფერი ამწვანებულია, ჰაერში საამო სურნელი ტრიალებს. ზაფხულში ახმაჯში უამრავი ხალხი ჩამოდის, ყველგან მხიარულებაა. ამ ხმაურს კი ბანს აძლევს ბევრჯერ აწითლებული, მხიარული, მაგრამ მუდამ მდუმარე ქსანი. ყველაზე მეტად ჩემ სოფელში ერთი ადგილი მიყვარს, ეს არის მთა-გორი, აქ ტყეც არის და მინდორიც, ამ ადგილს კოდახევს ეძახიან. აქ ამოსვლა განსაკუთრებით საღამოობით მიყვარს. მე ზღვაზე მზის ჩასვლაც მინახავს და მზის ამოსვლაც, მაგრამ ამ ერთ უბრალო სოფელში მზის ჩასვლის ნახვას არაფერი მირჩევნია, როცა მისი სხივები საბანივით გადაეფარება სოფელს.

2008 წლის აგვისტოში მე ახმაჯში ვიყავი. სოფელი ჟრიამულს მოეცვა. 7 აგვისტოს დილით კი შემზარავი ამბავი გავიგეთ. საქართველოში ომი დაიწყო! დიდი რუსეთი ებრძოდა პატარა საქართველოს! სოფელში დღე და ღამე სროლისა და აფეთქების ხმა არ წყდებოდა! სამაჩაბლოს მხარეს ცა წითლად მოჩანდა! საქართველოს ცას კი შავი ღრუბელი გადაკვროდა! არ ეძინა საქართველოს! არ მეძინა მე! ყველა ლოცულობდა მშვიდობისათვის, იმ გმირების ძლიერებისათვის, ვინც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის. ქუჩებში სიჩუმე სუფევდა, თუ არ ჩავთვლით იმ შემზარავ ხმას, რომელიც ფრონტის ხაზიდან ისმოდა. საშინელი განცდა იყო, როდესაც საყვარელ ადგილს ვტოვებდი და არ ვიცოდი დავბრუნდებოდი თუ არა ოდესმე უკან.

ცეცხლი შეწყდა, მოჩვენებითმა სიმშვიდემ მოიცვა ყოველივე, რომელიც დღემდე გრძელდება. სწავლა 102-ე საჯარო სკოლაში გავაგრძელე. ცხოვრება გართულდა... სული დამძიმდა... რაღაც ისეთი დამაკლდა, რაც მასულდგმულებდა. ჩემს სკოლაში სამაჩაბლოდან გამოქცეული მოსახლეობა ცხოვრობდა. ხშირად მივდიოდი მათთან, საჭმელი და ტანსაცმელი მიმქონდა, ვისმენდი მათ ამბებს და ვუყურებდი მათ ცრემლიან და ნაღვლიან თვალებს.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ომიდან ორი თვის შემდეგ შევედი ჩემს სოფელში. ქუჩებში ხალხი არ დადიოდა. სამარისებული სიჩუმე სუფევდა. აქა-იქ რუსული ლაპარაკი ისმოდა. ახლაც ხშირად მივდივარ ახმაჯში. გავდივარ იმ საშინელ პოსტებს, სადაც დამცირების ატანა გვიწევს. ვუყურებთ მათ დამცინავ და ირონიულ სახეებს, ირონია კი გოგონების დანახვაზე მეტად ძლიერდება. შენ არ ხარ თავისუფალი შენს მიწაწყალზე. ახლა ის შენი აღარ არის!

მენატრება ჩემი სოფელი. ქსანში ბანაობა. ახლა იქ რუსი ჯარისკაცები ბანაობენ. ჩვენი სახლი, რომელიც ჟივილ-ხივილს იყო მიჩვეული, ახლა საცოდავად დუმს. ჩემი პატარა ძმიშვილი ომის შემდეგ დაიბადა. უკვე ერთი წლის ხდება და არ უნახავს მამა-პაპისეული სახლი. ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ვერ ნახავს. გვენატრება... ძალიან გვენატრება ჩვენს სოფელში ერთად ყოფნა. მე იქ პაპებისა და ბებიების საფლავები დამრჩა. დღეს შევდივართ, მაგრამ არავინ იცის რა იქნება ხვალ! ჩემს ხეობას, რომელსაც თემურ-ლენგის შემოსევები უნახავს, დღეს „ერთმორწმუნე“ მტერი დაპატრონებია. მძიმე ასატანია, მაგრამ...

ამჟამად წეროვანის დევნილთა დასახლებაში ვცხოვრობ. ვსწავლობ №3 საჯარო სკოლის IX[4] კლასში. ყოველ ღამე მესიზმრება ჩემი ლამაზი ხეობა, ჩემი სახლი, ჩემი ქსანი, და ვნატრობ, რომ მალე დადგეს ის დღე, როდესაც თავაწეულები და შუბლგახსნილები დავუბრუნდებით ჩვენს ხეობას, ჩვენს სახლებს...

გავა წლები, ჩვენ გავიზრდებით და ქალაქებსა და სოფლებში მიმოვიფანტებით, მაგრამ არასდროს დავივიწყებთ იმ გატკეპნილ ბილიკებს, რომლებზედაც უდარდელად გვირბენია.

კვლავ გაიღიმებს ჩემი ხეობა. ახმაურდება, ამღერდება და გულში ჩაგვიკრავს საყვარელ შვილებს და შემოგვფიცავს, რომ აღარასოდეს აღარ დაგვკარგავს!

ჩვენ დავბრუნდებით.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ხატვის მასტერკლასზე

ცხოვრება ომის შემდეგ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

დინა
აღამიანი

დინა 10 წლისაა. ომი გორში ნახა. დღესაც, ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტომდე, ქალაქ გორში ცხოვრობს. სწავლობს V საჯარო სკოლაში.
ჰყავს ორი უფროსი და.
სურს გამოვიდეს ჟურნალისტი.
ნახატში ომის შემდგომი ცხოვრება გადმოსცა.
ოცნებობს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის იყოს მეგობრული ურთიერთობა.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ლაზარე ზანგალაძე

ლაზარე კეხვიდანაა, 17 წლისაა. ღღეს წეროვანში ცხოვრობს, სწავლობს წეროვანის №3 საჯარო სკოლაში, XII[2] კლასში. 2008 წლის აგვისტოში დაკარგა „ყველაფერი მატერიალური“, შეიძინა ნოსტალგიის გრძნობა. ამბობს, რომ ცხოვრება ორად გაიყო – ომამდე, და ომის შემდეგ. სურს გამოვიდეს წარმატებული ადამიანი, ოცნებობს საკუთარ სოფელში დაბრუნებაზე, დამნაშავეთათვის საკადრისი პასუხის გაცემაზე, მკითხველს ურჩევს არ წაიკითხოს ეს წიგნი მოვალეობის მოხდის მიზნით, წაიკითხოს იმისთვის, რომ გაიგოს რა არის „ცხოვრება ომის შემდეგ“, გაიგოს, რომ როცა შენს ქვეყანას უჭირს, ამას შორიდან, ზერელედ არ უნდა უყურო.

დროდადრო ჩემს მშობლიურ სოფელში კეხვში სროლები ისმოდა. შევეჩვიეთ და არავის ეშინოდა. არც აგვისტოში შეშინდნენ, მორიგი დაძაბულობა ეგონათ. მშობლიური კერის მიტოვება არავის უფიქრია. მეორე დღესაც რომ განმეორდა სროლები, ბავშვები გამოგვიყვანეს. შემდეგ უკვე ყველამ გაიგო, რომ ოსი ხალხის გადარჩენის საბაბით, რუსეთის არმია შემოვიდა როკის გვირაბიდანო. თვითმფრინავებიც მომრავლდა ცაში და ჯოჯოხეთიც დაიწყო.

ღმერთო, რატომ დაუშვი, რომ ადამიანს ასეთი საბაბის მოგონება დასჭირვებოდა: ერთის ვითომდა გადასარჩენად მეორეს მოვკლავ, მესამეს – სახლს დავუწვავ, მეოთხეს – დავაობლებო.

ოს ხალხს ვიცავდიო, რუსს რომ ჰკითხო – ვისგან იცავდა და რაც მთავარია, როგორ დაიცვა? უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ფასად, ასეულობით სახლიდან აყრილ ადამიანთა ცრემლისა და ტანჯვის ფასად?! ისიც საკითხავია, საერთოდ დაცვა უნდოდათ?! ნუთუ ოსი ხალხის დაცვის გამო შეესივნენ ჩვენს სახლებსა და ბაღებს, ჯერ რომ გაძარცვეს და მერე გადაწვეს?! ჩემი სახლი იყო ოსი ხალხის თვითმყოფადობის ხელისშემშლელი, მიწასთან რომ გაასწორეს?!

ამ ომმა ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. გაჩნდა უხილავი ხაზი, რომელმაც იგი ორ ნაწილად გაყო. ახლა თხრობისას ხშირად ვამბობ: ომამდე, ომის შემდეგ.

ომამდე ბევრ რამეს არ ვაქცევდი ყურადღებას. ომის შემდეგ გავიგე, რა არის ტკივილი და რა არის სიხარული, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა არის სიძულვილი და რა არის სიყვარული. გავიგე, რომ ერთ წამს

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

შეუძლია ადამიანის ცხოვრება მთლიანად შეცვალოს. იგი შურისმაძიებელ ან მიმტევებელ ადამიანად აქციოს.

ომამდე რამდენჯერ მინახავს ტელევიზიით აფხაზეთის დაცემის კადრები. კი შევწუხებულვარ, მაგრამ გულს ისე არ დაუწყია კვნესა, როგორც ახლა და ამის გამო მრცხვენია.

ომი მარტო დაკარგული ტერიტორია და იქ დანგრეული სახლი კი არა, ჩემი ბავშობის სურათებიცაა. ჩემი ლაღი ბავშვობა დაწვეს, თითქოს არ ვარსებობდი... არადა რა ლამაზი სურათები მქონდა გადაღებული! ჩემი შვილები და შვილიშვილები ვერ ნახავენ როგორი ვიყავი პატარაობისას ან სკოლის ასაკში. თითქოს ცხოვრების ერთი მონაკვეთი დავკარგე.

ომამდე სიტყვა „ნოსტალგიის“ მნიშვნელობა ვიცოდი, ახლა კი შევიგრძენი, გავითავისე. მინდა ლექსიკონში შესწორება შევიტანო – ნოსტალგია მარტო სამშობლოს მონატრება არაა. მე დღეს ჩემს სამშობლოში ვცხოვრობ, მაგრამ ეს გრძნობა მტანჯავს. აქვე ორი საათის სავალზე რომაა, ის კუთხე მენატრება და მტკივა. გამოდის, ნოსტალგია სამშობლოში მყოფი ადამიანების მშობლიურ კუთხეში დაბრუნების შეუძლებლობის გამო გამოწვეული სევდა და ტკივილიცაა, როცა იცი, რომ სახლს გინგრევენ დ ავერ აჩერებ მათ.

ახლა მე სახლიც მაქვს, სკოლაც, ბევრი ახალი მეგობარიც შევიძინე, თითქოს არაფერი უნდა მაკლდეს, მაგრამ იმ უხილავ ხაზს იქით ცხოვრება მაინც თავისკენ მითრევს. ყველა ბავშვს ასწავლიან რაფიელ ერისთავის ლექსს:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...
ჩემი სამშობლო ის არის...“

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

მეც მასწავლეს ეს ლექსი, რომელსაც მაშინ ერთი სულის ამოთქმით ვამბობდი, მაგრამ ლექსის აზრს სიღრმემდე ვერ ვწვდებოდი. ახლა უკვე ვხვდები, რომ სამშობლო ძალიან ძვირფასი ყოფილა და მარტო მთლიანი კი არა, მისი ერთი პატარა კუთხე, სამაჩაბლო ყველაზე ძვირფასი ყოფილა ჩემთვის.

იქ, სამაჩაბლოში, პაპაჩემის აშენებული სახლი მქონდა. აქ, წეროვანში კი, ყველა მშვიდობისმოყვარის დახმარებით ამიშენეს სახლი. იმედი მაქვს, რომ ადამიანები რომელთაც სძულთ ომი, კვლავ დაგვეხმარებიან, ჩვენს გულისტკივილს გაიზიარებენ სამაჩაბლოში დაგვაბრუნებენ და მერე მე თვითონ ავაშენებ უფრო ლამაზ და მყარ სახლს.

ასე მოიქცევიან ჩემი ძმები, მეგობრები, მეზობლები და კვლავ აყვავდება ჩემი სოფელი და მთელი ხეობა.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ვარლამეანებში

ცხოვრება ომის შემდეგ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

გიორგი ფალავანდიშვილი

გიორგი 12 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე ლამისყანაში ცხოვრობდა. დღეს წეროვნელია. სწავლობს წეროვანის მესამე საჯარო სკოლაში. ჯერ არ მოუფიქრებია, რა სურს გამოვიდეს, თუმცა იცის, რომ სიმღერა უყვარს და მომღერლობაზეც არ იტყოდა უარს. ამბობს, რომ ოცნებობს ბევრ რამეზე, მათ შორის იმაზე, რომ საქართველომ ყველა დაკარგული ტერიტორია დაიბრუნოს და აღარ იყოს სუსტი და მცირე ერის ქვეყანა.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ცხოვრება ომის შემდეგ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

სოფია ჟვარიანთაშვილი

სოფია 10 წლისაა. 2008 წლის აგვისტოში ზნაურის რაიონის სოფლის – ახალშენის დატოვება და ოჯახთან ერთად ქარელში გადმოსვლა მოუხდა. დღეს აქ, ელექტრო-ტექნიკუმის შენობაში ცხოვრობს. სწავლობს ქარელის I საჯარო სკოლაში, V^{ბ} კლასში. დედისერთაა. სურს გამოვიდეს მსახიობი და სრულყოფილად ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს. ოცნებობს სოფელში დაბრუნებაზე, საკუთარ ეზოში „ლუკმაზე გაწუწკებულ თიკანთან“ გათამაშებაზე და მდინარე ფრონეში გაგრილებაზე.

ომის შემდეგ ყოველი დღე მონატრებით იწყება და მონატრებით მთავრდება. სიზმრებშიც კი მხოლოდ ერთი ოცნება მაქვს – დავბრუნდე ჩემს პატარა, ლამაზ და ტანჯულ სოფელში. ყოველთვის თვალწინ მიდგას ის დღე, როდესაც სოფელს ვტოვებდით. მაშინ არ ვიცოდი, რომ ასე დიდხანს მომიწევდა მისი დატოვება. მეგონა, მხოლოდ რამდენიმე დღით წამოვედით და აი, უკვე წელიწადზე მეტია ჩემი უსაყვარლესი ფრონე არ მინახავს.

რომ მახსენდება ჩემი სკოლა დაწვეს ოსებმა, სიბრაზისაგან ვტირი. ძალიან მენატრებიან ჩემი დაფანტული მეგობრები, ჩემი ცხოველებიც, მათ სიზმარში ვხედავ ხოლმე – გაბუტულები არიან იქ რომ დავტოვე, მსაყვედურობენ, თუ ასე ძალიან მიყვარდა, მარტოები როგორ დავტოვე. ვუხსნი, რომ მე პატარა გოგო ვარ და არა ყოვლისშემძლე ჯადოქარი, რომელიც რუსის ჯარს შეაჩერებდა და ამდენ უბედურებას ააცილებდა სუყველას.

ყოველ დილა-საღამოს, როდესაც ვლოცულობ, ღმერთს მხოლოდ ერთს ვთხოვ, დავბრუნდე ჩემს სოფელში და ომი აღარასოდეს იყოს. იმედია, ღმერთი ჩემს ლოცვას შეისმენს და ცხოვრება ომის შემდეგ მონატრებით აღარ დაიწყება.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

უზენაეს სასამართლოში

ცხოვრება ომის შემდეგ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor



მერაბ ნაროუშვილი

მერაბი 10 წლისაა. ის სენაკიდანაა. სწავლობს სკოლა „აპოდიქსში“, უნდა გამოვიდეს მხატვარი, არქიტექტორი. 2008 წლის აგვისტო მძიმედ ახსოვს – ამბობს, რომ მშვიდობის რწმენა დაკარგა, რომ გაიგო რა არის შიში, რომ ახლა უკვე იცის მშვიდობის ფასი. ნახატს, რომელიც წარმოადგინა, „წარუშლელი ლაქა“ ქვია. გიორგი ამბობს, რომ აგვისტოს ომი, როგორც წარუშლელი ლაქა, ყველა ქართველის მეხსიერებაში დარჩება. ამ დღეების დავიწყებაში კი მხოლოდ რწმენა დაგვეხმარება.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ცხოვრება ომის შემდეგ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ლეონი მარგველანი

ლერი კოდორიდანაა.
ის 16 წლისაა. მშობლებთან, ორ ძმასთან და სამ დასთან ერთად დღეს ბოლნისში ცხოვრობს. სწავლობს ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლაში, XII კლასში.
ამბობს, რომ 2008 წელს დაკარგა საკუთარი მიწა-წყალი.
ოცნებობს კოდორში დაბრუნებაზე, მზადაა თავადაც იბრძოლოს ამისთვის.
არ უნდა, რომ ვინმეს ებრალებოდეს. სურს გამოვიდეს მასწავლებელი.

ოდითგანვე საქართველოს ჰყავდა მტრები, ყველა მხრიდან ესეოდნენ და ჯიჯგნიდნენ მას. ბევრ ომგამოვლილია ჩემი სამშობლო. გადაურჩა დამპყრობლებს და აქამდე მოაღწია. ეს ყველაფერი ისტორიიდან ვიცი და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ამ მდგომარეობაში მეც აღმოვჩნდებოდი და საკუთარი თვალით ვნახავდი ომის დეტალებს.

2008 წლის 8 აგვისტო, დღე იყო მზიანი.

დილის ხეობაში ცაზე გამოჩნდა ორი თვითმფრინავი.

ცაზე თვითმფრინავები თეთრად ჩანდნენ. ერთი შეხედვით არც ისე ცუდი სანახაობა იყო... ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს საშინელების სამზადისი იქნებოდა. როგორც ჩანს, ისინი ზვერავდნენ ხეობას. ახლა რომ მახსენდება, ისინი იმ ქორებს ჰგავდნენ წიწილებზე დასაცემად რომ ემზადებიან. მოკლედ, მოსახდენი მოხდა. დაიწყო დაბომბვა და გაგრძელდა. ბომბავდნენ მონდომებით და გეგმაზომიერად, ახლა ვხვდები, რომ ეს იყო გაფრთხილება, რომ მალე დაეტოვებინა მოსახლეობას ხეობა. რაც დრო გადიოდა, ბომბები სახლებთან ახლოს ვარდებოდა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე – ბომბები ეცემოდა ეზოებში, სახლებზე... დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა.

ხალხი გამოდიოდა უღელტეხილით. ყველა იყო გაფითრებული და გაოგნებული. უკან რჩებოდა ის, რაც უძვირფასესი იყო ჩვენთვის. უკან დარჩა ხეობა და საამაყო სვანეთი.

ჯგუფ-ჯგუფად გავნაწილდით ჭუბერის მხარეს. ჩვენი ცხოვრების პირველი დღეები რაღაცნაირად წააგავდა ბოშათა ცხოვრებას ბანაკებში, სანამ გაგვანაწილებდნენ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

თბილისში და შემდეგ ბოლნისში. თითქოს ვერ წარმოგ-ვედგინა ბოლომდე ჩვენი გაჭირვება. ამ მოძრაობაში ფიქრსაც ვერ ვასწრებდით. ბედის განაჩენით საბოლ-ოდ დავსახლდით ბოლნისში.

ახლა ასეთი აზრი მომდის: ალბათ დროც არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. ეს მდგომარეობა მოულოდნე-ლად დადგა ჩემს ცხოვრებაში. ამგვარ ცვლილებას ვერ წარმოვიდგენდი. ვგრძნობ, რომ ომმა ნაადრევად და-მასერიოზულა. ომი რომ არა, ალბათ, ამ ასაკში უფრო ლაღი და ბავშვური ვიქნებოდი. გამოდის, რომ მან გარ-კვეული ნაწილი ბავშვობის წამართვა. ნამდვილად არ ვინატრებდი ასეთ ცვლილებას.

ვადარებ ახლანდელ სინამდვილეს იმასთან, რაც დამრჩა წარსულში.

„დილის სვანეთი“ ყოველთვის აღემატება ახლანდელ ყოველდღიურობას და ჩემს დღევანდელ შთაბეჭდილე-ბებს. ამ ახალ საცხოვრებელ გარემოში ვგრძნობ ყუ-რადღებას და სიბრალურს. მაგრამ აქვე ვგრძნობ იმა-საც, დაკარგულის ანაზღაურება რომ შეუძლებელია. გამოუვალ ფიქრებში ვარ. ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ იქ ვერ დავბრუნდები, მაგრამ, ამასთან, ამბობენ იმედი ბოლოს კვდებაო.

მეც იმედით ვცხოვრობ და ამ იმედით ვარსებობ. არ მინ-და ვინმეს ვებრალებოდეთ. მართალია ბოლნისიც სა-ქართველოა და ჩემი მიწაწყალია, მაგრამ ჩემს კოდორს ვერაფერი შემიცვლის. ვცხოვრობ მომავლის იმედით, ვცდილობ ჩემი მხარე არ დავივიწყო და პირადად მეც ვიბრძოლო, თუ ჩემს ქვეყანას დასჭირდება, ტერიტო-რიული მთლიანობის აღსადგენად.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

რაგი
ჩიტიშვილი

რაგი 11 წლისაა. ახალგორელია. ღღეს წეროვანში ცხოვრობს და წეროვანის მესამე საჯარო სკოლაში სწავლობს. ჰყავს უფროსი ძმა, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლეა. ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოში დაკარგა ახალგორი. ოცნებობს საქართველოს გამთლიანებაზე. აპირებს გამოვიღეს ფეხბურთელი. უყვარს ხატვა, ამ წიგნის ავტორებს შორისაც სწორედ ხატვის სიყვარულისა და შესაბამისი ნიჭის გამო აღმოჩნდა.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

მარიამ
გოჩაშვილი

მარიამი 13 წლისაა. ბავშვობის დიდი ნაწილი სოფელ ხეითში გაატარა. დღეს კარალეთში, კოტეჯებში ცხოვრობს. სწავლობს გორის №2 საჯარო სკოლაში, VIII^ბ კლასში. 2008 წლის აგვისტოში დაკარგა სახლი, ყველა საყოფაცხოვრებო ნივთი; შეძენილ განძად თვლის იმას, რომ მშვიდობის ფასი ისწავლა. ოცნებობს საქართველოს გამთლიანებაზე და მშვიდობაზე, რადგან „მშვიდობაზე უძვირფასესი რამ არ არსებობს“. მკითხველს ურჩევს ისწავლოს იმის დაფასება, რაც აქვს.

მე იმ ბედკრული ქვეყნის შვილი ვარ, რომელსაც საქართველო ჰქვია სახელად, რომელსაც კლავდნენ და არა კვდებოდა, ანგრევდნენ, ჩეხავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ და მაინც ვერაფერს აკლებდნენ.

ჩვენს წინაპრებს, ალბათ, მშვიდად „ძინავთ“ ზეციურ სასუფეველში, რადგან ჰგონიათ, რომ საუკუნეების განმავლობაში სისხლითა და კბილებით დაცული მიწა-წყალი ჩვენ, მომავალ თაობებს, მშვიდად ჩაგვაბარეს და აღარასოდეს ვნახავდით იმ მწარე დღეებს, რომელიც თვითონ გამოიარეს, მაგრამ ვაი, რომ ასე არ ყოფილა ცხოვრება მოწყობილი...

რაც საკუთარი არსებობა შევიცან, სულ ომია, გაუთავებელი ომი, შუღლი, მტრობა და ქიშპობა. ბავშვობიდანვე ვგრძნობდი მტერთაგან შევიწროებას, ვხედავდი, როგორ გვიხდებოდა დიდსა და პატარას დიდი ლიახვის დაცვა.

ბედნიერი ვიყავი, როცა უზრუნველად ვცხოვრობდი ჩემს სოფელში, ვხვდებოდი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, როცა ჩვენს წმინდა სალოცავებში ვანთებდი სანთლებს და ახლობელთა საფლავებზე ვაგორებდი წითელ კვერცხებს. ყველა და ყველაფერი, მართლაც, ლამაზი და უჩვეულო იყო, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ შეგვარჩინა 2008 წლის ავადსახსენებელმა აგვისტომ...

ომი რომ დაიწყო, აღარავის გვახსოვდა სახლი, კარი, ავეჯი, ტანსაცმელი, სამკაულებიც კი. შიშმა დაგვავიწყა მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულიც და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის ინსტიქტიღა გვამოძრავებდა.

მივრბოდით დაქსაქსულები, დედა შვილს ველარ პოულობდა, ცოლი-ქმარს, ნათესავი-ნათესავს...

მერე?! მერე თითქოს ყველაფერი „დალაგდა“, თავშესაფარიც მოგვცეს, დაგვაპურეს, გაგვათბეს, გვანუგეშეს... ჰმ!!!

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

და მერე? მერე გაგვახსენდა მიტოვებული სახლ-კარი, წინაპართა საფლავები, სკოლა, საბავშვო ბაღები, საყვარელი წიგნები, მეგობართა დღიურები და ვინ მოთვლის, რამდენი რამ...

ერთი ცხოვრება იქ, სამაჩაბლოში დავტოვეთ, დავტოვეთ ის, რასაც, მგონი, ვეღარასოდეს ვნახავთ. იქ დარჩა ჩემი ბედნიერი, ლაღი და უზრუნველი ბავშვობაც...

ახლა სულ სხვა ცხოვრება დაიწყო. მოგონებებითღა ვცხოვრობთ, ერთმანეთში ვეძებთ აქა-იქ მიმობნეულ ფოტოებს, ვაგროვებთ ჩვენი ცხოვრების მიერ შეჩერებულ და გაქვავებულ წუთებს, ამ ფოტოებმა რომ შემოგვინახეს. ახლა სკოლაც გვაქვს, კინო-თეატრიც, ექსკურსიებზეც დავდივართ, ეზოებსაც ვიკლებთ ჟრიამულით, მაგრამ ამ ყველაფერს რაღაც უცნაური ჩრდილი ახლავს, სევდიანი და ტკივილიანი, თითქოს უცხო მიწაზე ვცხოვრობთ, თითქოს მდგმურები ვართ...

მაინც რა მუხთალი ყოფილა წუთისოფელი, საკუთარ სამშობლოში დევნილად რომ იქცევი!!! როგორი გულსატკენია ყველაფერი, ვერც კი წარმოიდგენთ...

ბედნიერი ვიქნებოდი, ეს თემა ჩემს სოფელში, ჩემი სკოლის ჩემს მერხზე დამეწერა. მაშინ კიდევ უფრო მეტად ჩავხედავდი თვალებში ჩემს სოფელს, უფრო მეტად აღვიქვამდი მის სილამაზეს და მთელი მსოფლიოს გასაგებად ხმამაღლა დავიყვირებდი, რომ მე, მარიამ გოჩაშვილი, ყველაზე ლამაზი მხარის წარმომადგენელი ვარ, იმ მხარისა, რომელსაც სამაჩაბლო ჰქვია სახელად.

ახლა გორიდან ვუმზერ სამაჩაბლოს და ვოცნებობ...

კარგია ოცნება...

ოცნებით სად არ გადაიფრენს კაცი, რას არ გააკეთებს.

კარგი იქნებოდა, სულ ოცნებებში შეიძლებოდეს ცხოვრება, მაგრამ ეს ასე არ არის. მაინც ვოცნებობ მომავალზე. მისი იმედი ნურც მომიშალოს ღმერთმა...

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

აგერ, ჩვენი ახლადგაშენებული ამწვანებული ბაღები ნელ-ნელა ჭკნობას მიეცა. შემოდგომის სუსხმა ჩამოაჭკნო კიტრის ხეივანი, მამამ ახალ ეზოში რომ გააშენა. ნაბოლარა პამიდვრებიღა შემორჩენილა ბაღში ჩარგულ ჩითილებს. მაჭარმაც დაიწყო დუღილი. მამა ბედს არ ემორჩილება, ისევ დაიწურა ყურძენი. (რა ვუყოთ, თუკი თავისი ხეივნიდან არ ჩამოუკრეფია). ისევ დახუფა დედამ ქილები საზამთროდ, ისევ აივსო სახელდახელოდ გათხრილი სარდაფი დოვლათით, მაგრამ ისეთი გემო მაინც არ ექნება, როგორც ჩემს სახლში, ჩემს ეზოში...

თითქოს ყელში რაღაც მეჩხირება, ცრემლებიც მზად არიან გადმოსაცვენად, მაგრამ ვცდილობ, თავი შევიკავო და ავყვე ცხოვრების რიტმს (სხვა რა გზაა), რადგან მომავალი მასულდგმულებს. მჯერა, რომ სამაჩაბლოდან გაფანტულ-გამოფანტული ქართველები ისევ დაუბრუნდებიან საკუთარ დანგრეულ ბუდეებს. ამასობაში ჩვენც გავიზრდებით, დავფრთიანდებით და იმ საქართველოს, დამოუკიდებელი რომ ჰქვია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ.

ჩვენ ღმერთების ენაზე მოლაპარაკე ერი ვართ და როგორ არ უნდა ვიწამოთ მომავალი, როცა ამდენი კელაპტარი გვინთია ტაძრად.

დიახ, უნდა ახდეს ჩემი ოცნება! დაკეცილი ფრთები მალე უნდა გავშალოთ ჩვენს პატარა, ერთ მუჭა საქართველოში და ღრუბლების შავი ჯანღი ნათელმა თაკარამ უნდა შეცვალოს, რადგან

„ჩვენ სიყვარულის სარეცელზე შეგვქმნა განგებამ,
ჩვენ სათნოება დაგვანათლა არსთა გამრიგემ...
და წინ მოგვიძღვის
ერის სული, ერის ნამუსი, –
ენა,
მამული
სიყვარული
სარწმუნოება.“

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

საზოგადოებრივ მაუწყებელში

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ირაკლი ცხადია

ირაკლი 14 წლისაა. ცხოვრობს ხობში. სწავლობს ხობის სკოლა „არეა“-ში. აგვისტოს ომში უახლოესი მეგობრის მამა დაეღუპა. ნახატზეც ეს ფაქტი გადმოსცა. ამბობს, რომ ამ ომმა სიმშვიდის გრძნობა დააკარგვინა. ჯერჯერობით არ გვიმხელს რა პროფესიის გამოვა, გვპირდება, რომ შეეცდება სამშობლოს გამოადგეს. ოცნებობს ბევრ რამეზე, მათ შორის – დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე, ეშინია ეს ოცნება ოცნებად არ დარჩეს. ამასთან იცის, რომ უკეთეს მომავალზე მხოლოდ ოცნება არ კმარა, ამბობს, რომ „არა მარტო იარაღით, არამედ გონებით და რწმენით უნდა ვიბრძოლოთ“.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor



ბექა
ალიბეგაშვილი

ბექა 17 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე ახალგორის რაიონის სოფელ წირქოლში იზრდებოდა. დღეს ცხოვრობს ახალ დასახლებაში, სოფელ წილკანში. სწავლობს წეროვანის №3 საჯარო სკოლის XII[1] კლასში. მომავალ პროფესიას არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ უნდა დატოვოს კვალი, გამოვიდეს ადამიანი, რომელიც ქვეყანას გამოადგება. არ სურს საკუთარ მხარეში დაბრუნებაზე ფიქრს ოცნება უწოდოს. კითხვაზე, რა დაკარგა 2008 წლის აგვისტოში და რა შეიძინა მას შემდეგ?, მოკლედ პასუხობს: „ეს რა კითხვაა? დავკარგე მამული. იმასთან შედარებით, რაც დავკარგე, გამოდის, რომ არაფერი შემიძენია“.

ბევრი მსმენია ომის შესახებ, ბევრი ისტორიული წყაროც წამიკითხავს, ბევრი ფილმიც მინახავს, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ ჩემს მხრებსაც დააწვებოდა მისი მძიმე ბორკილები და XXI საუკუნეში, როდესაც საზოგადოებამ ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწია და ასე განვითარდა, ვინმეს კიდევ დასჭირდებოდა ამა თუ იმ პრობლემის ომის გზით გადაჭრა. თუმცა, რუსეთი აღმოჩნდა სახელმწიფო, რომელმაც ფეხი ვერ ააყოლა სხვა ქვეყნების განვითარებას და ჩარჩა წარსულში. „საბჭოთა კავშირისთვის“ დამახასიათებელ, თანამედროვე ეპოქისთვის შეუფერებელ და მიუღებელ იდეებთან და შეხედულებებთან ერთად. ეს თემა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ ჯობია მთავარ საკითხს დავუბრუნდე. როგორია ცხოვრება ომის შემდეგ? – ალბათ, არც ღირს მოყოლა, თუ გავიხსენებთ და შევადარებთ იმ პერიოდს, როდესაც ჩვენს მშობლიურ და უსაყვარლეს მხარეში ვცხოვრობდით. უფრო სწორად, სიცოცხლით ვტკბებოდით.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. ჩვენი ქსნის ხეობა კი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. იგი ყველა დროს საამურია სანახავად და თვალს ჭრის მნახველს. გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება, ზაფხულში მწვანდება, სიცოცხლით ტკბება და შენც გატკბობს. შემოდგომაზე გამოსაზამთრებლად ემზადება. მის შემხედვარეს გეჩვენება. თითქოს გემშვიდობებაო დროებით, ხოლო ზამთარში, როდესაც თეთრად გადაიპენტება, უყურებ სახლიდან, გსურს უსასრულოდ იხეტიალო მის ქუჩებში, მაგრამ არ გადიხარ გარეთ, რადგან არ გინდა ფეხსაცმლის კვალმა გააფუჭოს და დაამახინჯოს ის სილამაზე, რომელიც ასე ჭარბად უჩუქებია უფალს მისთვის. ასეთი პეიზაჟებით ვტკბებოდი 16 წელი და ერთხელაც არ გამიფიქრია, ერთხელაც არ გამჩენია იმის გრძნობა, რომ ცხოვრება ერთფეროვანია. აგერ უკვე ერთი წელია, რაც დავტოვე ეს მხარე და, ასე მგონია, სადღაც სხვაგან,

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

უცხო სამყაროში ვარ. რადგან ვერ გამიაზრებია, როგორ შეიძლებოდა ბავშვობის წლები ასე უცბად გამქრალიყო.

უკვე საკმაოდ დიდი ვარ იმისთვის, რომ მივხვდე, რა არის ცუდი და რა – კარგი. ვერ ვიტყვი ჩემი ახლანდელი ყოფა ცუდია-მეთქი, რადგან ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა თავი დაჩაგრულად, უმწეოდ და მარტოდ არ გვაგრძნობინოს. გვეხმარება ყველაფრით, რითაც ასეთ ხალხს შეიძლება დაეხმარო, მაგრამ ვერაფერი დაგვავიწყებს ომის მწარე დღეებს და გაგვათავისუფლებს იმ ნოსტალგიისგან, იმ მონატრებისგან, რომელიც გვექნება ჩვენი ქსნის ხეობის მიმართ. ხელისუფლების თანადგომამ მხოლოდ სევდის შემსუბუქება შეიძლება შეძლოს.

ვცხოვრობთ იმ იმედით, რომ ძალიან მალე შევძლებთ სანატრელ ხეობაში დაბრუნებას. ისევ ისეთი ტემპით იჩქეფს სიცოცხლე ჩვენს სოფლებში, ისევ გავზრდით ჩვენს თაობებს ღვთის მადლით მდიდარ მიწაზე. მანამადე კი ვცდილობთ სიტყვებით დავთესოთ მათ გულებში იმ მხარის სიყვარული, საიდანაც მათი წინაპრები მოდიან, სადაც მათი ნამდვილი ფესვებია. არ დავავიწყოთ, რომ ეს მიწა-წყალიც მათი საკუთრებაა, რომელიც ძალით წაგვართვეს, რომლისთვისაც თავს წირავდნენ მათი მამა-პაპანი და დავარწმუნოთ, რომ აუცილებლად ისწავლონ, რადგან მხოლოდ ცოდნით შეიძლება გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა.

იმ ტკივილის მიუხედავად, რომელიც ამ ომმა დამიტოვა გულში, მაინც ვცდილობ ვისწავლო და ჩემი ცოდნა მოვახმარო ჩვენს მრავალტანჯულ ერსა და ქვეყანას და ამით მაგალითი მივცე მომავალ თაობას. მეამაყება, რადგან წარსულში მრავალი ასეთი გაჭირვებისთვის გაგვიძლია. ამიტომ არ შეიძლება იმედის დაკარგვა და

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

იმის ერთ წამში დათმობა, რამაც დიდი გაჭირვებით და ჩვენი წინაპრების თავგანწირვით მოაღწია ჩვენამდე.

ძალას მმატებს ისიც, რომ ისევ ვხედავთ ჩემს ძველ მეგობრებს. ხშირად ვიხსენებთ ძველ დროს, ჩვენს ბავშვურ ოინებს და ამით ცოტა ხნით წარმოვიდგენთ ხოლმე, ვითომ ჩვენს მხარეს დავუბრუნდით, ვითომ ყველაფერი ისევ ძველებურადაა. თუმცა, ეს მხოლოდ რამდენიმე წამი ან წუთი გრძელდება, რადგან რეალობისგან თავის დაღწევა არც ისე ადვილია.

ვიცი, ბევრს შეიძლება უცნაურადაც მოეჩვენოს, მაგრამ უნდა ვაღიარო, ამ ომმა ერთი სიკეთე მაინც მოგვიტანა. ვგულისხმობ იმას, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც ადრე გამარჯობასაც არ ეუბნებოდა ერთმანეთს, გაჭირვებამ დააახლოვა. ბევრმაც დაივიწყა ძველი წყენები ერთმანეთისადმი და ამ უმშვენიერესი ხეობის არც თუ ისე მცირერიცხოვანი მოსახლეობა თითქოს ერთ ოჯახად აქცია. ნათქვამია, – „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, – ჩემი ხალხის ასეთი შეხმატკბილებული ყოფა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და დიდ სტიმულს მაძლევს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ცხოვრება ნამდვილად ღირს და იმედის დაკარგვა არ შეიძლება.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ახალი წელი - თბილისში

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ხატია ჯავლიაშვილი

ხატია 11 წლისაა. ის გორში ცხოვრობს და მეხუთე საჯარო სკოლაში სწავლობს. აგვისტოს ომი სწორედ ამ ქალაქში ნახა და განიცადა. ოცნებობს, რომ საქართველომ დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები. არ სურს ომის გამეორება: „ომი ცუდია, ნუღარ იომებთ, იყოს მშვიდობა“ – მოუწოდებს მკითხველს. ნახატზეც არა ომი, არამედ ომის შემდგომ დაწყებული შენება გადმოსცა. სურს გამოვიდეს მომღერალი და მოცეკვავე.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor



PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

შორენა ჯოჯიშვილი

შორენა 14 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე პაგარა ლიახვის ხეობის სოფელ ვანათში ცხოვრობდა. დღეს წეროვნელია. წეროვანის №3 საჯარო სკოლაში სწავლობს, ორ უფროს ძმასთან ერთად.

შორენა აპირებს გამოვიდეს თექის მასწავლებელი. ოცნებობს სოფელში დაბრუნებაზე, იმედოვნებს, რომ ოცნება აუხდება. მკითხველს კი ურჩევს იყოს მასსავით იმედიანი.

ჯერ მხოლოდ თოთხმეტი წლის ვარ და რაც დავიბადე, დაუსრულებელი ომია... სულ დაძაბულობასა და გაურკვევლობაში გვიწევდა ცხოვრება შინ, ჩემს მშობლიურ სოფელ ვანათში – ისტორიულ სოფელში, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა. დიახ, სწორედაც რომ მდებარეობდა ოდესღაც ლამაზი და მშვიდი სოფელი, რომელსაც გასული წლის ზაფხულში დავემშვიდობეთ.

ჩემს ძმებთან ერთად გამოვიქეცი სამშვიდობოს, თავი ახლობლებს შევაფარეთ და აფორიაქებული დღეებიც მაშინ დაიწყო. გაუსაძლისი გახდა მშობლიურ კედლებთან, მშობლიურ კერასთან, ნაცნობ-მეგობრებთან განშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო...

ერთხანს იმედიანად ვიყავით. ვეძებდით ერთმანეთს ნათესავები, მეზობლები, მეგობრები... ვამხნევებდით გულგატეხილს, ვცდილობდით ერთმანეთისთვის ცრემლი არ გვეჩვენებინა. მერე კი... მერე მომრავლდნენ შაოსანნი, ძაძით შემოსილი დედები, ობოლი ბავშვები, დაკარგული პირტიტველა ბიჭები... ინტერნეტში გავრცელდა გაპარტახებული, გადამწვარი და დანგრეული სახლების ფოტოები... იმ დღეებში წუთი საათად გადაიქცა და როგორღაც ვიგრძენი, რომ ჩემს გულშიც ჩაწყდა იმედის ძაფი.

ძალიან ძნელი აღმოჩნდა იმ აზრთან შეგუება, რომ სხვა ათასობით ადამიანთან ერთად, მეც უსახლკარო, ლტოლვილი მერქვა... ეს სტატუსი ერთბაშად მძიმე და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. დღესაც ვეძებ პასუხს კითხვებზე, რომელზეც ხშირად ვერავინ მპასუხობს... დედას კი ისევ ცრემლი ერევა, გული გაუტყდა ჯერ სრულიად ახალგაზრდას...

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვიხდა ცხოვრების დაწყება ახალ გარემოში, ახალ მისამართზე და ახალ მეზობლებთან, მეგობრებთან... დღეს მე, მრავალი სხვასავით, წეროვნელი მქვია. ადვილი არ არის ფართო სახლში ცხოვრებას შეჩვეული შეეგუო ერთი შეხედვით ლამაზ, თუმცა პაწია კოტეჯს. უხვმოსავლიან სოფელში ცხოვრების მერე დღეს თითო-ოროლა კილოგრამ ხილს ვყიდულობთ. გამეტებით ვერ გაკბეჩ დანაზოგი თეთრებით შეძენილ ვაშლს, მსხალს და ატამს...

აქ, წეროვანში, ამ ცხელ ზაფხულში საოცარ დეფიციტს ვგრძნობდით ხმაურიანი, ამაყი ლიახვის, მისგან მონაბერი გრილი სიოსი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სტუმრად ჩვენს სოფელში ჩამოსულ თანატოლებთან ერთად ლამაზად გატარებული დღეების...

და კიდევ რამდენის თქმა მინდა... ჩვენ, ბავშვებს, ისევე როგორც უფროსებს, ბევრის, ძალიან ბევრის დეფიციტი გვაქვს...

გამიგონია, რაც არ კლავს, აძლიერებსო და მინდა ვისურვო, რომ ძლიერი, იმედიანი და ხალისიანი ვიყო. მე და ჩემი თანატოლები ხომ ახლა ასმაგად ვჭირდებით ჩვენს ტანჯულ საქართველოს, ჩემს დასახიჩრებულ მშობლიურ კუთხეს, რომელსაც ასე ძალიან შეხსნია ჭრილობები.

ჩვენ ამჟამად, თავაწეულნი ვივლით, გამართული ნაბიჯებით...

ჯიუტად მჯერა, რომ ჩვენს კუთხეებს დავუბრუნდებით, ისევ იჭრიალებს შემოდგომით ჭირნახულით დატვირთული ურემი სოფლის ორღობეებში, გაზაფხულზე ისევ თეთრად გადაიპენტება ან იავარქმნილი მინდვრები...

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ფუტკრების ზუზუნი და ატმის ყვავილის მტვერი გააბრუებს ჩემს თვალწარმტაც ბუნებას, ზამთარში სპეტაკად, თეთრად შემოსილი კავკასიონი ამაყად გადმოხედავს და იმედია, სულ მალე ისევ ზაფხულის ხვატში ჩვენი თვალხატულა გოგო-ბიჭების უდარდელი კისკისი გააყრუებს ვანათის უბნებს...

... მე მჯერა, ღვთის მადლით გაბრწყინდება საქართველო!

„მე მენატრება ჩემი სოფელი,
ჩემი სახლი და ჩემი მამული.
მე მინდა მისვლა პაპის საფლავზე
კიდევ აუნთო წმინდა სანთელი,
მინდა დავბრუნდე მე ჩემს სოფელში
მშვიდობა იყოს საქართველოში.
მე მენატრება ჩემი სოფელი,
ჩემი სახლი და ჩემი მამული“.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ცხოვრება ომის შემდეგ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

გვანცა
მზარეულიშვილი

გვანცა 14 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე დიდი ლიახვის სოფელ ხეითში ცხოვრობდა, მანამდე – ცხინვალში, „ხარიტონ პლიევის 16“-ში. დღეს თბილისში დროებით ნათესავებთან ცხოვრობს. სწავლობს 165-ე საჯარო სკოლის VIII² კლასში. გვანცა ოცნებობს გამოვიდეს მსახიობი, ვარსკვლავი, მიიწვიონ ჰოლივუდში, გახდეს წარმატებული და პერსპექტიული ადამიანი. მკითხველს ურჩევს იცხოვროს სწორად, სჯეროდეს ნათელი მომავლის, რათა გაუადვილდეს ცხოვრება.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

მარიამ ბერუაშვილი

მარიამი 12 წლისაა. ის პაგარა ლიახვის ხეობიდან, სოფ. ერედვიდანაა. ახლა თეთრიწყაროს რაიონში, კოდაში ცხოვრობს და კოდას საჯარო სკოლაში სწავლობს. იცის, რომ ერედვის სახლი, ეზო, ბაღი ახლა დამწვარია. მოსაგონრად სახლის რამდენიმე სურათი შემორჩა, ისიც ნათესავებში შეგროვებული. ოცნებობს ბავშვობის მეგობარ ნინოსთან ერთად ერედვის საჯარო სკოლაში სწავლაზე, საკუთარ კომპიუტერზე, სოფლიდან „რუსის ჯარის“ გასვლაზე. მკითხველს ურჩევს ნუ შეხედავენ საკუთარი სახლებიდან დევნილებს „სხვა თვალით“, რადგან მათაც არ სურდათ სხვის ტერიტორიაზე დასახლება.

ამ ომმა ჩემს ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა. ეს იყო ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია... ზარბაზნების ხმა, აფეთქებები. ჩვენ, ამ საშინელი სროლების დროს, უფროსებმა მეზობლის სარდაფში ჩაგვიყვანეს, სადაც სიცივე და სიბნელე იყო. გვენთო მხოლოდ სანთელი. თოთო ბავშვებიც კი იქ იყვნენ. შიშით დედას ვეკვროდი და ყოველ გასროლაზე ვტიროდი. ღამე თითქოს გაგრძელდა. ძილზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. როგორც იქნა, გათენდა. სროლა მაინც არ წყდებოდა. ძირს ხოხვით, როგორღაც, სახლში წავედით. უბანში დიდი და საშინელი ორმოები იყო. ჩემს სახლს აღარც ერთი მინა აღარ ჰქონდა. როდესაც სახლში შევედით, ჩემმა ძმამ ჩვენი მანქანით, სასწრაფოდ, ბებიასთან, იქვე სოფელში ჩაგვიყვანა და თვითონ ერედვში დაბრუნდა. საღამომდე ვიყავით, ბებია თავს დაგვტრიალებდა, მაგრამ იქაც მოგვაგნო რუსების საშინელმა ჭურვებმა. იქიდან კასპის რაიონში, სოფელ მეტეხში წაგვიყვანეს ნათესავებმა. მანქანაში ბავშვების ტევა არ იყო. ჩემი ფიქრები ჩემს ერედვში იყო, სადაც დედა, მამა, ძმა და ჩემი მეზობლები დარჩნენ. გადაღლილს, სოფელ მეტეხში დამეძინა კარგად.

გათენდა საშინელი დღე... ჩემი უფროსი და, რომელიც ჩემთან ერთად იყო, ცრემლებს ვეღარ მალავდა. მას დაურეკეს, რომ ერედვი დაუბომბავთ. დაცლილა ჩემი საყვარელი სოფელი, დატოვეს ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდა. დავტოვეთ სიფელი მეტეხი, სადაც ძალიან დიდი ყურადღება გვქონდა. მშობლებმა, თბილისში, გლდანის 216-ე ბაგა-ბაღში წაგვიყვანეს. იქაც, რისი საშუალებაც ჰქონდათ, ყველა გვეხმარებოდა. მოჰქონდათ ყველაფერი, მაგრამ იცით რისი დავიწყება არ შემიძლია? იცით რაზე მწყდება ყველაზე ძალიან გული? – ჩემს დამწვარ სახლზე. დაიწვა ყველა ჩემი სათამაშო, ყველა ჩემთვის

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

საყვარელი ნივთი. მამიკოს მანქანას რუსებმა ტანკით გადაუარეს. ჩემი საყვარელი ბებია ძალიან დარდობდა, ის იყო ეროვნებით ოსი, მისი ყველა ნათესავი ცხინვალში ცხოვრობდა, მათ ჩვენ ძალიან ვუყვარდით, მოდიოდნენ და ჩვენც მივდიოდით მათთან. ბებიაჩემმა მათ შესახებ არაფერი იცოდა. ის ალბათ ნერვიულობდა, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობდა. ტიროდა მხოლოდ ჩვენს უსახლკარობას და ყველაფრის დაკარგვას.

ჩვენ გადაგვიყვანეს თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ კოდაში. ეს ძალიან დიდი და შორი მანძილია ჩემი ბებიის სოფლიდან. ბროწლეთი არის ჩვენი ერთადერთი იმედი, სადაც დასვენებას შევძლებთ ერედვში დაბრუნებამდე. ბებია ჩვენთან სანახავად ჩამოვიდა. გზა ძალიან ეშორა, თქვენ ვერ შეგელევითო – გვითხრა. ჩვენ ბებიას ვანუგეშებდით, ვპირდებოდით, რომ ხშირად ჩავიდოდით მის სანახავად. ბებია სულ 2 საათის მოსული იყო, როდესაც გულის შეტევით გარდაიცვალა. ეს ძალიან მძიმე დღე იყო, რომლის დავიწყებაც არ შემიძლია.

მე მენატრება ჩემი სოფელი, ჩემი დანგრეული სახლი, ჩემი ლამაზი ძაღლი, კატა. ვინატრებდი ჩემს სოფელში დაბრუნებას, იქ ცხოვრებას, ჩემს საყვარელ სკოლაში სწავლას, ჩემს ლამაზ კულტურის სახლში ცეკვასა და სიმღერას.

დაე ეს მძიმე პერიოდი არასოდეს დაბრუნდეს.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ოთარ

ბაქრაძე

ოთარი 10 წლისაა. სოფელ ავნევიდანაა. დღეს ქარელში, მეორე საბავშვო ბაღში ცხოვრობს. მეცხრე საშუალო სკოლაში სწავლობს. ჰყავს 4 წლის და, რომელიც ჯერ ბაღში დადის. ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოში საკუთარი მიწა-წყალი დაკარგა. სურს გამოვიდეს პოლიციელი. ოცნებობს სახლში დაბრუნებაზე. უყვარს ხატვა.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ელინა ვასოევა

ელინა კასოევა 10 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე ცხინვალში ცხოვრობდა, დღეს გორში ცხოვრობს და გორის VI სკოლაში V კლასში სწავლობს. აგვისტოში დაკარგა სახლი, მეგობრები, კატა; სურს გამოვიდეს სინქროული თარჯიმანი, სწავლობს ქართულ ენას. ოცნებობს, რომ ბებია გამომჯობინდეს, ძმა სახლში დაბრუნდეს, სახლში ძაღლი გაიჩინონ. მკითხველს ურჩევს არ დაკარგოს იმის იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

Каждое лето мы приезжали в Гори к своей тёте. Я всегда с нетерпением жду каникулы и отдыха в этом замечательном городе. Осенью все с удовольствием рассматривали яркие фотографии и слушали забавные рассказы о поездке в солнечную грузию. Однажды я даже получила высшую оценку в шлоле за сочинение «Как я провела лето» Учительница сказала что после такого описания ей неприменно хочется посетить Грузию. Но если бы она прочитала сочинение про август 2008 года она бы решила что это сценарий нового фильма ужасов и точно передумала.

Это началось тёплым вечером. Я вышла на улицу, что-бы позвать сестру. Она сидела в окружении друзей и о чём-то тихо с ними разговоривала. Я не могла понять что случилось. На улицу стали сходить соседи. Они смотрели на небо и тревожно переговаривались. Некоторые плакали. Я слышала отдалённые выстрелы похожие на гром. Странные вспышки на небе я приняла за вспишки молнии. По прежнему не до конца понимала в чём дело. Я шла домой неся в мыслях новое для себя слово – «Война».

Мне снилось, что я сплю в палатке, в тёмном и душном лесу. На палатку обрушился сильный удар. Кто-то подашёл совсем близко. Второй удар был сильнее и громче. Я слышала шаги и чей-то голос. Третий удар был сильнее предидущих двух. Палатку сильно тряхнуло. Сквозь листьев и темноту прорвался голос, чьи-то руки настойчиво вытягивали меня из палатки.

Я зажмурилась от яркого света, передомной стояла сонная сестра.

– «Вставай и иди вниз,» – велела она. Я снова моргнула, ни тёмного леса, ни душной палатки. В комнату с квозь распахнутые окна врывалсая лёгкий ветерок. Поубросив в воздух занавеску он обнажил разбитые стёклаю «Значит удары были наяву» – решила я, выбираясь из постели.

– Что случилось? – пыталась я выяснить пока нетерпеливые руки тащили меня вниз по лестнице.

– Ничего! – слишлом быстро ответила сестра, а потом поспешно добавила – Дождь.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

– Дождь? У нас чтоб крыша протикает? – глупо поинтересовалаь я.

– Да, да! – нетерпеливые руки уложили меня на диван в зале. Я хотела ещё многое спросить, но вновь проволилась в сон.

Днём меня не выпускали из дома но я всё же увидела, как люди бегут по улицам с сумками и покетами в руках. Проносились переполненые машины и ярко жёлтые автовусы с военными. Люди кричали, плакали, искали родственников и друзей. Люди бежали. Люди боялись. Люди не знали, что делать и как быть.

К вечеру город опустел. Было тихо и пустно. К нам постоянно приходили люди. Моя тётя – лучший врач во всём городе. Она ходила на работу каждый день. В поликлинике под её началом трудились очень дружная и добрая команда из нескольких врачей и их родных. С раннего утра до позднего вечера они старались помочь каждому, кто обращался за помощью. Они раздавали лекарства, довали рекомендацыи, мерили давление, выслушивали жалобы, утешали и успокаивали напуганных людей. Людей было очень много. Они приходили пешком из деревень за 2-3-мя таблетками (Т.к. в первые дни с лекарствами было со всем плохо). Позже поступила гуманитарная помощь, но лекарств всёравно не хватало. Тётя и её команда очень быстро придумали свой принцип работы, благодаря которому они могли обслуживать больных в три-четыри раза быстрее. Но всё равно они сильно уставали. В городе всё было закрыто: магазины и аптеки, банки и базары, только поликлиника моей тёти и крошечный магазин нашего соседа продолжали обслуживать людей.

В эти дни казалось что город выкрасили в серый цвет. Было таскливо и страшно. Мы знали, что много людей погибло, многие лишились домов. Теперь я знаю, что такое война. И это умственные знания, приобретенное мной которому я совсем не рада.

Мне хочется знать, что в нашем мире будёт мир. Что люди будут добрее друг к другу. Терпиливее. Быть может, тогда, наконец мы сможем забыть, что означает «страшное, пропитанное кровью и слезами война».

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ნანა

ოყუჯავა

ნანა 10 წლისაა. ცხოვრობს სენაკში. რუსეთის ჯარის შემოსვლის დროს სენაკში იყო, დაცარიელებულ ქალაქში, სახლში, ერთ ოთახში იმალებოდა ოჯახთან, მათ შორის კი – ტყუპ დასთან ერთად. ბომბების ხმა დღესაც ახსოვს. ახსოვს ის შიშის განცდაც. დასთან ერთად ერთ კლასში სწავლობს, სენაკის სკოლა „აპოდიქსში“, რაც თურმე „აღმოჩენას“ ნიშნავს. ერთად ცეკვავენ ქართული ცეკვის ანსამბლში, აქვს ჯილდოებიც ცეკვაში. უყვარს ხატვა, ცეკვა და სწავლა. სურს გამოვიდეს ცნობილი დიზაინერი. მკითხველს ურჩევს იყოს ნამდვილი ქართველი, მეგობრული, დამთმობი და მორწმუნე.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ნესტან გოგაშვილი

ნესტანი სამაჩაბლოდან, სოფელ ხეითიდანაა. დღეს გორში, კოტეჯებში ცხოვრობს. სწავლობს გორის V საჯარო სკოლაში, XI^ბ კლასში.
ის 16 წლისაა. ამბობს, რომ 2008 წელს დაკარგა სახლი, სოფელი, „ბევრი ენით აღუწერელი რამ“, შეიძინა – ცხოვრებისეული გამოცდილება. სურს გახდეს ფსიქოლოგი, ბევრს ოცნებობს. მკითხველს ურჩევს იყოს მიზანდასახული და თავდაჯერებული.

ჩვენს პატარა ქვეყანას უძველესი დროიდან მოსვენება არ ჰქონდა მტრებისაგან, მაგრამ ჩვენი წინაპრების სიმამაცისა და თავდადების წყალობით, საქართველომ დღემდე მოაღწია. ქართველი ხალხი ახლაც თავდადებით იბრძვის იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნოს, რომ არ დაკარგოს თავისუფლება. უძველესი დროიდან დღემდე თავისუფლებისათვის ბრძოლას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. უამრავი ქართველი იღუპებოდა, საქართველოს მიწა ქართველთა სისხლითვე ირწყვებოდა, არ თავდებოდა გაუთავებელი ომები, რუსეთის ანექსიას ბოლო არ უჩანდა.

1990 წლიდან რუსეთმა საქართველოში, კერძოდ კი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ომი გააჩაღა და ნელ-ნელა დაიწყო საქართველოს გახლეჩა.

2004 წლის კონფლიქტი, რომლის მომსწრეც ვიყავი, დაიწყო ქართული სოფლების დაბომბვით. სოფლებიდან ხდებოდა ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია. დაახლოებით ორი კვირის მანძილზე გახიზნულები ვიყავით და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვების საშუალებით ვიგებდით. საბედნიეროდ, როდესაც უკან დავბრუნდით, სახლში ჩასულს ყველაფერი ძველებურად დამხვდა: ომს არავითარი ზარალი არ მიეყენებინა ჩემი სოფლისათვის და, რაც მთავარია, მსხვერპლიც არ იყო.

2004 წლისაგან განსხვავებით, მე ძალიან მიჭირს 2008 წლის აგვისტოს ომის გახსენება. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი წუთები, რომლის დავიწყებაც არ შემიძლია, რადგან ამ წლის აგვისტოდან ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა, თითქოს უკუღმა დატრიალდა. არ მინდოდა იმის დაჯერება, რაც ხდებოდა. ყოველი დილა ჩემთვის იმ იმედით თენდებოდა, რომ მოვიდოდა ვინმე და გვეტყოდა: „ყველაფერი დამთავრდა, შეგიძლიათ თქვენს სახლებში დაბრუნდეთო“, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ამაო ოცნება, რომელსაც ახდენა არ ეწერა. ყოველ ღამე სიზმარში ჩემს სოფელს, ჩემს სახლს, სკოლას ვხედავდი, მაგრამ ვიღვიძებდი თბილისის ერთ-ერთი ბაგაბაღის პატარა, ბნელ ოთახში.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ახლა ვხვდები რა უდარდელად ვცხოვრობდი სოფელში. რა კარგი იყო, როდესაც ყოველი დღე მისი სილამაზით ვტკბებოდი, ყოველ დილით ჩიტების საამური ჭიკჭიკი მაღვიძებდა, დილიდან უდიდეს სიხარულს მგვრიდა ჩვენი ულამაზესი მთავარანგელოზის ეკლესიის დანახვა, რომელიც ჩემს სახლს გადმოჰყურებდა.

ოჰ, ნეტავ იცოდეთ, როგორ მენატრება ჩემი სოფელი, მისი ტყე, მდინარე, წყაროები, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გადმოსჩქეფდა, სალოცავები, მენატრება ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული, მისი ჰაერიც მენატრება. მე ყოველთვის მემახსოვრება ის ისეთი, როგორიც იყო. ძალიან მწყდება გული, რომ მისი სილამაზე წაიშალა.

ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო იმის მოსმენა, რომ თურმე სამაჩაბლოს სოფლებში ნასახლარიღაა დარჩენილი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი იმას, რომ ამდენი წლის მერე ჩემი სამაჩაბლოსგან მოშორებით მომიწევდა ყოფნა.

2008 წლის ზაფხულში სოფელში დადიოდა ხმები ომის დაწყების შესახებ. ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ცხინვალიდან ქალები და ბავშვები გაიყვანეს. მალე ქართულ სოფლებშიც ანალოგიური ვითარება დაიწყო. ამ დროს მე ჩემს სახლში ვიმყოფებოდი და რასაც ხალხი ამბობდა, არ მჯეროდა, მეგონა, რომ ეს ყველაფერი პანიკა იყო. ასე მეგონა მანამ, სანამ ამავე დღის ღამის 12 სთ-ზე სახლის ზანზარმა და აფეთქების ხმამ არ გამაღვიძა. მამაჩემმა დაიყვირა, რომ სასწრაფოდ სარდაფში ჩავსულიყავით, რადგან სახლში ყოფნა საშიში იყო, მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, გვესმოდა დიდი აფეთქებების ხმა, მაგრამ არ ვიცოდით თუ რა ხდებოდა. მთელი ღამის განმავლობაში სროლები არ შეწყვეტილა, ეს იყო რაღაც საშინელება, მთელი სახლი ზანზარებდა, ჰაერში დენთის სუნი იდგა, ცა განათებული იყო, როდესაც გათენდა, დაახლოებით 15 წთ. სროლები შეწყდა, ხალხი გარეთ გამოვიდა, ჯერ გვეგონა, რომ ქართველებმა ცხინვალი აიღეს, მაგრამ მერე შევიტყვეთ რუსების შემოსვლის ამბავი. 1 სთ-ი იქნებოდა სოფლიდან რომ წამოვედი, როდესაც „ტყის“ გზაზე ავედით, ძალიან მიჭირდა ფანჯრიდან გახედვა, მეშინოდა, მაგრამ არ ვიცი რის, მაშინ

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

ხომ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მშობლიურ მხარეს უკანასკნელად ვხედავდი. იმ დროს ძალიან შეშინებული ვიყავი, საერთოდ არაფერზე ვფიქრობდი, მარტო მეშინოდა, ძალიან მეშინოდა. ვხედავდი, როგორ დაფრინავდნენ ჩვენს თავზე თვითფრინავები. ახლაც თვალწინ მიდგას ის საზარელი სურათი, რომელსაც შემთხვევით შევასწარი თვალი – გავიხედე და დავინახე, თუ როგორ ბომბავდა სამი თვითდამშენი სოფლებს. ვხედავდი ქუჩაში გამოფენილ ხალხს, ქალებს, რომლებიც ტიროდნენ, ვხედავდი ჯარისკაცებს, მათ სახეებს და ენით ვერ გადმოგცემთ იმას, რაც მაშინ ვიგრძენი. შემდეგ დროებით გორში გავჩერდით და იქიდან ვუცქეროდი ტანკებს და მანქანებს, რომლებიც სავსე იყო იარაღითა და ჯარისკაცებით. ჯარისკაცები პირჯვარს იწერდნენ და მანქანებიდან გვიყვიროდნენ „ჩვენთვის ილოცეთო“.

ძალიან რთულია ჩემთვის ვილაპარაკო 7 და 8 აგვისტოს დღეებზე, რადგან ამ დღეებში გადავიტანე ის, რაც ჩემთვის მტკივნეული ასატანია.

ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც ჩემი მხარე არ მინახავს, მხარე სადაც დავიბადე, გავიზარდე და ავიდგი ფეხი. ერთი წელია ჩემი სახლი არ მინახია.

აქ თითქოს აეწყო ჩვენი ცხოვრება, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. დავდივარ სკოლაში და ძალიან მიხარია, რომ ჩემი ახალი კლასელები დევნილი ბავშვები არიან. რადგან მათ მე ვუზიარებ ჩემს დარდსა და წუხილს. მათზე უკეთ კი ჩემს ტკივილს ვერავინ გაიზიარებს. ბევრჯერ გვისაუბრია კლასში ჩვენს სოფლებზე და თოთოეულ ბავშვში დავინახე დიდი გულისტკივილი, მივხვდი, რომ შეიძლება ისინი ვერ გამოხატავენ, მაგრამ გულის სიღრმეში იტანჯებიან. ჩვენ ერთმანეთს ვუყვებით ყველაფერს, რაც იქ ყოფნისას გადაგვხდა თავს. საუბრისას ისიც გავიგე, რომ ჩემს ერთ თანაკლასელს ფიზიკური ტრამვა მიუღია. არ გასულა დღე, რომ ჩვენ ჩვენს მშობლიურ სოფლებზე არ გველაპარაკა. ვიხსენებდით სროლებს, რომლებიც განუწყვეტლივ ისმოდა ხოლმე, ყველა გამოხატავდა თავის აზრსა და პოზიციას. გული გვტკივა, რომ ერთ დროს ჩვენი ლამაზი სამაჩაბლო ახლა მტრის ხელშია.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

აი, შესრულდა ერთი ტანჯული წელიც, ჯერ ვფიქრობდი, რომ გავიდოდა დრო და გულზე მოწოლილი დარდი მომეხსნებოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება, გადის დრო და ჩემი მხარე უფრო და უფრო მენატრება, როგორ უნდა დავივიწყო ჩემი ულამაზესი სამაჩაბლო? ჩემი ულამაზესი სოფელი ხეითი, ეს ხომ შეუძლებელია...

ჩვენ, ქართველებმა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და რაც არ უნდა დიდ განსაცდელში იყოს საქართველო, მისი კალთა დაგვიფარავს ჩვენ. უფალი არ გაგვწირავს. მიუხედავად ყველაფრისა, მე მჯერა საქართველოს ხვალინდელი დღის, მჯერა, რომ საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, მჯერა, რომ მალე დავბრუნდებით ჩვენს ძირძველ მიწაზე.

სამაჩაბლო!

საქართველოში, ერთ ლამაზ კუთხეს –
სამაჩაბლო რომ დაურქმევიათ
ვგოდებთ და ვტირით მისი შვილები,
მაგრამ ტირილით ვერ გვიშველია!
მისთვის გავწირეთ ბევრი ქართველი,
მაგრამ ამაზეც არ გვინანია,
ღმერთი გვიშველის მშობელო მხარევ,
ამის იმედი მუდამ გვქონია.
კვლავ აყვავდები ჩემო მამულო,
კვლავ ფრთებს შეისხავ გადმოფრინდები,
შენსგან შორს მყოფებს მოგვინახულებ,
გულში ჩაგვიკრავ, მოგვეფერები
და მოგვიყვები შენს ჭირ-ვარამზე,
როგორ აგჩეხა მტერმა სასტიკად,
რამდენი ტანჯვა გამოგვატარა,
მაგრამ მუხლებზე ვერ დაგვაჩოქა.
ნუღარ ღონდები ჩემო მამულო!
ნუ ჩამოგტირის დამწვარი სახე!
19 წელი გინახეთ, მაგრამ მტერმა დაგვძლია,
ვერ შევაჩერეთ.
ჩვენც ხომ ვყოფილვართ ბევრჯერ დევნილი,
მრავალი ტანჯვა გამოვიარეთ,
ფიქრები ჩვენი შენ დაგტრიალებს,
შენზე ვლოცულობთ ყოველ ცისმარე.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

მარიამ ელიზბარაშვილი

მარიამი 12 წლისაა. 2008 წლის აგვისტომდე არცევში ცხოვრობდა. დღეს გორში აქვს სახლი. სწავლობს გორის მეორე საჯარო სკოლაში. უყვარს ხატვა და ფიქრობს, რომ, შესაძლოა, მხატვარიც გამოვიდეს. ოცნებობს საქართველოს გამთლიანებაზე. ამბობს, რომ ნამუშევრით, რომელიც შექმნა, სწორედ ამის თქმა სურდა – „ამ ნახატით გადმოვცემ იმას, რომ საქართველო ძალიან მალე გამთლიანდება, დაიბრუნებს აფხაზეთს და სამაჩაბლოს და მზესავით გაბრწყინებული იქნება“.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

თბილისი,
ილია ჭავჭავაძის პრ. №54
ტელ: 22-00-16

ეს ბუკლეტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტის ფარგლებში. ამ გამოცემაში გამოთქმული თვალსაზრისი, მიგნებები და დასკვნები საავტოროა და ყოველთვის არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას.

PDF compression, OCR, web optimization using a watermarked evaluation copy of CVISION PDFCompressor

MDF
მედიის განვითარების ფონდი
DEPARTMENT OF STATE
UNITED STATES OF AMERICA